სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080120070236119

№ 4735

05 / დეკემბერი / 2019 წ.

ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2019 წლის 02 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის“ SMP190004530 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

2. შესყიდული ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ განახორციელა ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრთან არსებული ანსამბლების სოლო კონცერტში მონაწილეობისათვის ქ. თბილისში ტრანსპორტირების მომსახურების (CPV 60100000 - საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები) შესყიდვა, ღირებულებით - 900 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, მიმდინარე წლის 10 დეკემბერს ქ. თბილისში დაგეგმილი იყო ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრთან არსებული ანსამბლების სოლო კონცერტი. გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო აღნიშნულ დღეს ვერ მოხერხდა საკონცერტო დარბაზის დაქირავება წინასწარი ჯავშნების გამო. საკონცერტო დარბაზი თავისუფალი იყო მხოლოდ 2 დეკემბერს. იმისთვის რომ საფრთხე არ შექმნოდა კონცერტის ჩატარებას, აუცილებელი გახდა შეზღუდულ ვადებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებულიყო ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრთან არსებული ანსამბლების სოლო კონცერტში მონაწილეობისათვის ქ. თბილისში ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საგულისხმოა, რომ დაინტერესებულ პირებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, იმდენად რამდენადაც, წარმოდგენილი მომართვის თანახმად, მიმდინარე წლის 10 დეკემბერს ქ. თბილისში დაგეგმილი იყო ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრთან არსებული ანსამბლების სოლო კონცერტი. გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო აღნიშნულ დღეს ვერ მოხერხდა საკონცერტო დარბაზის დაქირავება წინასწარი ჯავშნების გამო. საკონცერტო დარბაზი თავისუფალი იყო მხოლოდ 2 დეკემბერს. იმისთვის რომ საფრთხე არ შექმნოდა კონცერტის ჩატარებას, აუცილებელი გახდა შეზღუდულ ვადებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებულიყო ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრთან არსებული ანსამბლების სოლო კონცერტში მონაწილეობისათვის ქ. თბილისში ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვა.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე